საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4510
13/06/2023

4510-21-2-202306131452

შპს „საერთაშორისო ენერგო კორპორაციას“

მის: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა, N3, ბლოკი ბ, ბინა 48

ელ. ფოსტა: archilkhatiashvili@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2023 წლის 2 ივნისის №4977 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ამბროლაურის და ონის მუნიციპალიტეტებში, „ლუხუნი 2 ჰესის 110 კვ ძაბვის ქვესადგურის 110 კვ ძაბვის ქვესადგურ „ონი 110“-თან დამაკავშირებელი 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის“ გაყვანას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დასაზუსტებელია მისასვლელი გზების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ: მისასვლელი გზების shp ფაილები არასრულადაა წარმოდგენილი და ზოგიერთ მონაკვეთზე გზების მარშრუტები არ უკავშირდება ერთმანეთს;
- დაზუსტებას საჭიროებს სამშენებლო ბანაკების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ: სკოპინგის ანგარიშის თანახმად, N2 სამშენებლო ბანაკის ფართობის შეადგენს 154 561 მ^2, ხოლო shp ფაილების მიხედვით, სამშენებლო ბანაკის ფართობია 154 893 მ^2, ასევე N2 სამშენებლო ბანაკის shp ფაილები ზედდებაშია საპროექტო ანძებთან და არსებულ ქვესადგურთან;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ეგხ-ის გაყვანის ფარგლებში დაგეგმილია ორი (N1 და N2) სამშენებლო ბანაკის მოწყობა, დოკუმენტში, ასევე აღნიშნულია N3 სამშენებლო ბანაკი, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ „სამშენებლო ბანაკისათვის შერჩეულ ტერიტორიაზე მცენარეული საფარი და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის“. მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად

დადგინდა, რომ N2 სამშენებლო ბანაკის საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილია ხე-მცენარეული საფარი. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი დასაზუსტებელია;

- სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ „საპროექტო ეგხ-ის დერეფანში და არც ბუფერიდან 20 მეტრზე ნაკლებ მანძილში არ ხვდება საცხოვრებელი სახლები". წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმებით დადგინდა, რომ ეგხ-ის დაცვის ზონა (ბუფერი) კვეთს საცხოვრებელ სახლებს, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. წარმოდგენილი უნდა იქნეს დაზუსტებული ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერი №366 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ;
- 4.4.2.2 და 4.4.2.3 ნახაზებზე ასახულია საპროექტო ეგხ-ის დერეფანი, რომელიც არ ემთხვევა shp ფაილებს და საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ „მდინარეების კალაპოტებში და უშუალო სიახლოვეს საყრდენი ანძების განთავსება, ან სხვა რაიმე სამშენებლო სამუშაოების შესრულება გათვალისწინებული არ არის". shp ფაილების მიხედვით, საპროექტო ანძები უშუალოდ ემიჯნება მდინარე რიონს, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული საკითხების გათვალისწინებით, განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო